„დროება“, № 30, 1877 წ.

№ 30 16 მარტი, ოთხშაბათი 1866–1877 16 მარტი, ოთხშაბათი № 30

**რედაქცია**
ზანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და სტამბაში, ამატუნის სახლებში.

**ხელის-მოწერა**
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова.

**გაზეთის ფასი**
წლიწადში — 8 მან., ნახევარ წლიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

**განცხადება**
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და [illegible] ენებზე.

**განცხადების ფასი**
დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — [illegible] კაპ. [illegible] სტრიქონზე — 5 კაპ. და [illegible] — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.
დაუბეჭდელი სტატია უკანვე არ დაუბრუნდება.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**ხელის-მოწერა ამ 1877 წლის**

## „დროებაზე“

მიიღება გაზეთის რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის სტამბაში (ზანოვის ქუჩაზე, ნაზ. ამატუნის სახლებში).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი:
*Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“*

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| ფასი | მთელი წლის გაზეთისა — — | 8 — | „ |
| | ექვსი თვისა — — — — — | 4 — | 50 |
| | სამის თვისა - — — — — | 2 — | 50 |
| | ერთის თვისა — — — — — | 1 — | „ |

**ხვედრი ფასი გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოიგზავნოს რედაქციაში.**

**ცალკე ნომრები „დროებისა“ ისყიდება:**

**ვართანოვის** წიგნის მაღაზიაში (ქუკიის ხიდზე, მირზოევის შენობაში)
**გრიქუროვის** წიგნის მაღაზიაში (ქუკიის ხიდთან, ზუბალოვის სახლში)
**„კარდანახის“** სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში)
**„სულთანის“** თამბაქოს მაღაზიაში (სუდის ქვეშ)
**პარიკმახერ პიერთან** (პროსპექტზე)
**გრიგოლოვის მაღაზიაში** („კავკაზის“ სასტ. ქვეშ, მირზოევის სახლებში)

**ფასი თითო ნომრისა—5 კაპეიკი**

## საქართველო

### დღიური

*** ჩვენს ქალაქშიაც კი ბევრს ლაპარაკობენ ამ ჟამად ერთს უბედურს შემთხვევაზე, რომელიც ამ თვის 10-ს მოხდარა ქუთაისში.

ორი ახალგაზდა თავადი დავით ალექსანდრეს ძე მიქელაძე და ალექსანდრე სვიმონის ძე წულუკიძე დატაკებიან ერთმანეთს ქუთაისის ბულვარზე და ერთს ხრმლითა და მეორეს ხანჯლით დაუწყიათ ერთმანეთის ჩეხა. ერთი მინუტის განმავალობაში მომხდარა ეს საქმე, სანამ ვინმე მიშველებოდა და გააშველებდა ამათ, თ. დ. მიქელაძე მძიმედ დაჭრილი და სისხლში მცურავი დავარდა თურმე ძირს. თ. ალ. წულუკიძე კი ისე მძიმედ არ ყოფილა დაჭრილი, რომ სხვის შეუწევნელად არ შეეძლებოდეს შინ წასვლა; მიქელაძე ფაიტონით წაუყვანიათ შინ, წულუკიძე კი ფეხით წასულა.

ამბობენ, რომ თ. დ. მიქელაძეს სამი დაჭრილობა აქვს ხანჯლითაო: ერთი თავში, მეორე მხარზე და მესამეც გვერდშიო. თ. ა. წულუკიძე კი მარტო ორ ალაგას არის დაჭრილიო: თავში და მხარზე. როგორც ისმის, ორთავენი ისე მძიმედ არ არიან დაჭრილი, რომ მათი მორჩენა შეუძლებელი იყოს.

მიზეზი ამათი ჩხუბისა, როგორც გავიგონეთ, ქალი ყოფილა...

„დროების“ მკითხველი ერთი ამ დაჭრილთაგანს — დავით მიქელაძეს — კარგათ იცნობს: 1873 წელს იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში იმის ცოცხალი, ჩინებული და კეთილშობილურ გრძნობით აღსავსე კორრესპონდენციები პარიჟიდამ, რომელნიც ხელმოწერილნი იყვნენ „დ. ზუბაშვილის“ სახელობით. 1874 წელს დაიბეჭდა იმისივე რამდენიმე სტატია, „მეველეს“ პსევდონიმით.

*** ჩვენ რომ გვკითხოთ, ამ გვარი შეხეთქება და სისხლის დაქცევა, უფრო კეთილშობილური თუ არა, უფრო რაინდული საქმეა, ვიდრემ ის ამბავი, რომელსაც ახლა მოგითხრობთ:

გორის უეზდში ცხოვრებდა ერთი გლეხი, რომელსაც ვინ იცის რამდენის ვაი ვაგლახითა და ოფლით ცოდაოდენი ფული შეეძინა (ამბობენ, 5,000 მანეთამდინ). ამ დღეებში ეს გლეხი გარდაიცვალა; ნათესავებთან მივიდა იმის ნაბატონარი თ. ე. და წინადადება მისცა იმათ, რომ მე დამაყენეთ ვექილად და მიცვალებულის გასესხებულ ფულებს მოვაგროვებო. მიარდე . ნაბატონარმა კარგა ბლომათ აილო წილი ჯერ იმ ქონებიდამ, რაც თვითონ მიცვალებულს დარჩა სახლში. მერე, ვექილობის ძალით, მიცვალებულის მეზობელს ერთს გლეხს მიადგა, წა-

## ფელტონი

# ჟორჟ დანდან

სამ მოქმედებიანი კომედია

**მოლლიერისა**

ნათარგმნი ფრანცუზულიდამ

---

**მოქმედნი პირნი:**

ჟორჟ დანდან—მდიდარი გლეხი, ანჟელიკას ქმარი.
ანჟელიკა—ჟორჟ დანდანის ცოლი, უფ. დე-სოტანვილის ქალი.
უფალი დე სოტანვილი—სოფლელი კეთილშობილი, ანჟელიკას მამა.
ქალბატონი დე-სოტანვილი.
კლიტანდრი — ანჟელიკას საყვარელი.
კლოდინა—მხლებელი გოგო ანჟელიკასი.
ლჰუბან—გლეხი, კლიტანდრის მსახური.
კოლან—ჟორჟ დანდანის მსახური.

---

მოქმედება წარმოსდგება სოფელში, ჟორჟ დანდანის სახლის წინ.

---

### მოქმედება პირველი

#### I სცენა

**ჟორჟ დანდან.** ახირებული საქმე ყოფილა, მართალი უნდა ვთქვა, აზნაურის ქალის შერთვა! ჩემი ცოლის შერთვა ჭკუის სასწავლებელი მაგალითია იმ გლეხებისათვის, რომელთაც ამაღლება ჰსურთ და აზნაურის ოჯახთან დაკავშირდებიან ხოლმე! რასაკვირველია, კეთილშობილობა კარგი რამ არი; მაგრამ იმას იმდენი მძიმე პირობები მოსდევს თან, რომ ახლოს არ მიეკაროს კაცი, სჯობია. ახლა კი მესმის ეს, მაგრამ ამის გაგება ძვირად დამიჯდა. ისინი ხო პირადათ ჩვენთან არ ცდილობენ დამოყვრებას, — მხოლოთ ჩვენს შეძლებას, ჩვენს ფულებს უმოყვრდებიან. თუმცა მდიდარი ვარ, მაგრამ, მგონია, უკეთ ვიქდი, რომ უბრალო ვინმე გლეხის ქალი შემერთო, ვიდრე კეთილშობილის ქალი, რომელიც მუდამ ცხვირს მაღლა იწევს და ჩემი გვარი სირცხვილად მიაჩნია! ყველა სისულელეზე უმეტესი სისულელე ჩაიდინე შენ, ჩემო ჟორჟ დანდან! მეზარება ჩემ სახლში შესვლა: ისე შინ ვერ დავბრუნებულვარ, რომ რაიმე უსიამო ამბავი არ დამხვდეს...

#### II სცენა

ჟორჟ დანდან და ლჰუბან

**ჟორჟ დანდან** (შეხედავს თავის სახლიდამ გამოსულს ლჰუბანს). რა ეშმაკი უნდოდა ამ კაცს ჩემთან?

**ლჰუბან.** (შენიშნავს ჟორჟ დანდანს). აი კაცი, რომელიც მე შემომხვდება.

**ჟორჟ დანდან.** (იქით). ვერ მიცნობს.

**ლჰუბან.** (იქით). რაღაც ეჭვი აქვს.

**ჟორჟ დანდან.** (იქით). თავის დაკვრაც რომ გასჭირდება!

**ლჰუბან.** (იქით). მეშინიან, არავის უთხრას, რომ მე ამ სახლიდამ გამოველი.

**ჟორჟ დანდან.** გამარჯვება შენი!

**ლჰუბან.** გაგიმარჯოს.

**ჟორჟ დანდან.** მგონია, თქვენ აქაური არა ხართ?

**ლჰუბან.** არა, ხვალინდელი დღესასწაულის სანახავად მოვედი...

**ჟორჟ დანდან.** ჰო! მითხარი ერთი, გეთაყვანე: ახლა ამ სახლიდამ გამოხველი?

**ლჰუბან.** სსსუუუ!

**ჟორჟ დანდან.** რა იყო?

**ლჰუბან.** გაჩუმდი, გა!

**ჟორჟ დანდან.** რა ამბავია?

**ლჰუბან.** ნელა! არ გაგიწყრეს ღმერთი, არავის უთხრა, რომ მე ამ სახლიდამ გამოველი.

**ჟორჟ დანდან.** რატომა?

**ლჰუბან.** ახა, ღმერთო ჩემო? იმიტომ რომ....

**ჟორჟ დანდან.** სთქვი რაღა: რატომ?

**ლჰუბან.** ხმა დაბლა, მეთქი! მეშინიან, არავინ გაიგონოს.

**ჟორჟ დანდან.** აქ არავინ არის, ნუ გეშინიან.

**ლჰუბან.** ამ სახლის ქალბატონთან მქონდა ჩემი ბატონისაგან გადა ტეცემი სიტყვა. ერთმანეთს ეკურკურებიან.... გაიგე?

**ჟორჟ დანდან.** დიახ.

**ლჰუბან.** ახლა ხომ მიხვდი? ბატონმა მითხრა: არ გაგიწყრეს ღმერთი, არავინ დაგინახოსო. არავის უთხრა, რომ შენ მე აქ მნახე.

**ჟორჟ დანდან.** რა ჩემი საქმეა!

**ლჰუბან.** ძალიან მოხარული ვარ, რომ ასე საიდუმლოთ მიმყავს საქმე.

**ჟორჟ დანდან.** კარგია!

**ლჰუბან.** ამბობენ, ამ ქალის ქმარი საშინელი ეჭვიანი ვინმე არისო და არ მოსწონსო, რომ იმის ცოლს ვინმე ეკურკურებოდესო. ეს ამბავი რომ იმის ყურამდინ მივიდეს, აქაურობას აიკლებს.... გესმი?

**ჟორჟ დანდან.** მესმის, ძალიან კარგათ მესმის.

**ლჰუბან.** არაფერი არ უნდა შეიტყოს!

**ჟორჟ დანდან.** რასაკვირველია.

**ლჰუბან.** ისე, ჩუმად, დამალულად უნდა მოატყუონ! გესმის?

**ჟორჟ დანდან.** უკეთესი აღარ შეიძლება!

**ლჰუბან.** შენ რომ წამოქდეს, რომ ამ კარებიდამ გამოსული მნახე, საქმე გაფუჭდა. ხომ გაიგე?

**ჟორჟ დანდან.** რაღა თქმა უნდა!... რა უნდა გკითხო: რა ჰქვია იმ კაცს, რომელმანც შენ აქ გამოგგზავნა?

**ლჰუბან.** ჩვენი მხრიდამ არის; უფალი.. უფალი.. დასწყევლა ღმერთმა! ენაზე მადგია და ვერ გამომითქვამს.... უფალი კლი.... კლი.... კლიტანდრი!

**ჟორჟ დანდან.** აი, ის ახალგაზდა ვაჟი, იქ რო დგას?..

როუდგინაიმასმიცვალებულისსახელობით 1000 მანეთის რაღაც ქაღალდი და დაუწყო ფულების თხოვნა. გლეხმა უარი განაცხადა. ნაბატონარმა თავის ბრწყინვალე განკარგულებით მოაგროვა სოფლის საზოგადოება და სასამართლო და უბძანა იმათ, რომ ისეთი გადაწყვეტილება დაედვათ, როგორც თვითონ ჰსურდა; ბატონისაგან შეშინებული სასამართლო ამტყუვნებს ვითომ-მოვალეს, მაგრამ, რადგან 1000 მანეთის საქმის გადაწყვეტა არ შეეძლო, 300 მანეთის გადახდას აწერს. ამბობენ, რომ ამ საქმის გარჩევის დროს თ. ე—მა ერთს მოსამართლეს თუ ნაცვალს, რომელმანც იმის წინააღმდეგი სიტყვის თქმა გაბედა, თავის ხელით ჩამოხადა მენდალი და მეორეს დაკიდაო. გამტყუვნებულ გლეხს, როგორც ისმის, ღუბერნატორთან უჩივლია და ახლა გორის უეზდის გამგეობას აქვს მინდობილი იმის გამოძიებაო.

საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ თ. ე., რაინდი ამ საქმისა, ახალგაზდა თავადია და იმას, უნივერსიტეტის კურსი თუ არ შეუსრულებია, კარები მაინც დაუნახავს ამ „მეცნიერების ბოლოზისა.“

*** ამას წინათ ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, რომ თფილისში სდგება ახალი საზოგადოება, სახელად „პირუტყვთა მფარველი საზოგადოება“, რომლის მიზანი თვით სახელიდამა სჩანს. ამ საზოგაოოების მწევრთა გუშინ, ხუმშაბათს, ჰქონდათ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში კრება, რომელზედაც თავიანთ წესდების პროექტზე უნდა მოელაპარაკებიათ და იმის მიღების შემდეგ, უმაღლეს მთავრობას უნდა წარუდგინონ დასამტკიცებლად.

*** ვლადიკავკაზში რომ გაზეთი „თერგის უწყებანი“ იბეჭდება, ის გაზეთი გვაცნობებს, რომ გასული იანვრის 31-ს ვლადიკავკაზის ერთი ეკკლესია გაუცარცვავთ, ხატებიდამ ძვირფასი თვლები ამოუღიათ და რამდენიმე ასი მანეთი ფულიც წაუღიათ. ავაზაკები მალე დაუჭერავთ; ერთს იმათგანს, სხვათა შორის, უნახეს არქიერის მიტრიდამ ამოღებული მარგალიტები და სხვა ძვირფასი თვლები.

*** გაზეთს „კავკაზში“ გამოცხადებულია კავკასიის მარილის ტაქსა, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ყულფისა და ნახიჩევნის ქვა მარილი, ფუთი, ღირს—15 კაპ., ფხვნილი—8 კაპ.; ბაქის მარილი 12 და 15 კაპ. სტავროპოლის გუბერნიაში ყველგან ყველა გვარი მარილის ფუთი ღირს – 51 კაპეიკად.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**პიატიგორსკი**, 25 თებერვალი. აგერ ორი თვე იქნება, რაც პიატიგორსკიდამ გაველი ზოგიერთი ადგილების დასავლელათ და მაშასადამე ამ ხნის განმავალობაში ჩემთვის გაუგებარი იქნებოდა, არამც თუ მარტოკა პიატიგორსკის მდგომარეობა, არამედ „დროების“ მეოხებით ჩემის სამშობლოისაც, რადგან, სადაც მე ვყიალობდი, იქ არავითარ გაზეთს არ იწერენ და მხოლოდ ერთს ახლადგაქალაქებულ ადგილას (ყუბანზედ) კი შევხვდი კატკოვის და სხვა ჩრდილოეთის მხრით გამოცემულს გაზეთებს.

ამ თვის მიწურულებში გამოვიარე გზავრათ სხვა გზით ისევე პიატიგორსკშია და ისე „ჩვენი“ დამაწყევარი „დუშმანი“ გახდეს, რა მდგომარეობითაც მე ესენი ვნახე:

ქალაქის საზოგადო ბანკს „უთაფნია“; დირექტორის მოსახლ-კარობა აუწერნიათ; მის თანაშემწის და წევრების სახლები, ავეჯულობა და მაღაზიები დაუკლიტავთ ბეჭედ-ქვეშ და აგრეთვე აქაური ძირეული მცხოვრებლების მოსახლ-კარობაც თან გაუყოლებიათ, რადგანაც ბანკის მოგებაცა და ზარალიც ქალაქის საზოგადოების საურთიეროთოა. ბანკს აკლია გადასახადათ, როგორც დამარწმუნეს, რვაასი ათასი (800,000) მანეთი. ბანკის ძველი დირექტორი თავისის თანაშემწით დატუსაღებულები არიან და ერთიც სხვა.

ბარემ პირთ, ვისაც ამ ბანკში ფული ჰქონდათ სასარგებლოთ შეტანილი, ახალი გამგეობა ჰპირდება, რომ ამ წლის პირველს აპრილში უთუოთ ყველას დაგაკმაყოფილებთ ფულებითაო, მაგრამ მე კი ეჭვში ვარ, რადგანაც პირველი აპრილი საყოველთაო მატყუარა არის.

ეს აღნიშნული ბანკი, თუმცა კარგა ხანია მოსაგლეჯ კბილსავით ფამფალებდა, მაგრამ მცხოვრებნი მაინც კიდენ ნუგეშობდნენ „იმედიან შიმშილსავით“ და ამ უკასკნელ დროს კი დაჰკარგეს იმედი და მიეცნენ სასო-წარკვეთილებას. მრავალთა მოთხოვეს, „იქნება მუშტარი იცოდე, იაფათ სახლს მივყიდიო და სხ...!“

ამათი სულის მობრუნება წლევანდელს „კურსზედ“ არის დამოკიდებული და თუ ომიანობა ასტყდა, მაშინ-კი ღმერთმან განუსვენოს ამათ „წიაღსა შინა აბრაამისასა!...“

მომავალ კურსს უფრო განსხვავება ექნება შედარებით წარსული წლების კურსებისაგან, ასე რომ რომელს ვაგზალზედაც უნდა გადმოხტნენ კურსავოიბი, ესე იგი „станція Минеральныя Воды,“ აქ როსტოვო-ვლადიკავკაზის რკინის ხზის პატრონმა — უ. ბარონ შტიგლიცმა თავისის საკუთარის ხარჯით ააშენა ერთი კარგი სახლი, სადაც თვითეული მომსვლელი თამამათ, მუქთათ დაბინავდება დრომდისინ. აქ ექიმების კონსულტაცია (რჩევა) იქნება და გასინჯვის შემდეგ, როგორც სნეულება მოითხოვს, ექიმები ავათ-მყოფებს იქ გაჰგზავნიან სამკურნალოთ. წარსულს წლებში-კი ყველანი პიატიგორსკში შეიკრიბებოდნენ ხოლმე და აქედამ ესენტუკში, ჟელეზნავოდსკაში და ბოლოს კისლავოდსკში გაჰგზავნიდნენ.

ამგვარი ცვლილება პიატიგორსკელებისთვის საზარალოა ამიტომ, რომ ვიდრე ავათმყოფებს ურჩევდა ექიმი, რომ შენ ამა და ამ ალაგას უნდა მიბრძანდე სამკურნალოთაო, ის ერთი კვირა მაინც შეფერხდებოდა პიატიგორსკში და ამით სარფა ჰქონდათ სახლის პატრონებს; და წლევანდლიდამ-კი ესეც შეუმცირდათ და თანდითან „იკლო ამათმა სიცოცხლემ!“

გ. ბრემელი

**ფოთი**, 11 მარტს. წუხელის აქ, ფოთში, ერთს „საზოგადო ოჯახში“ ერთმა პარახოდ „ინგულის“ კაჩეგარმა (ცეცხლის შემკეთებელმა) რევოლვერით ორი ქალი მოჰკლა.

როგორც ამბობენ, ეს კაჩეგარი წინა დღეს ყოფილა ამ „ოჯახში“ და უცემიათ. მეორე დღეს წასულა ბაზარში რევოლვერის საყიდლათ; სადაც შესულა მაღაზიებში, ყველგან უთქვამს, რომ რევოლვერი მომყიდეთ, სანადიროთ მივდივარო. ვაჭრებს უპასუხნია, რევოლვერით ნადირობა როგორ იქნებაო? მაგრამ იმას კიდევ უთქვამს, ეს ჩემი საქმეაო. ბოლოს შესულა ხუმარაძის მაღაზიაში და იქ უყიდნია რევოლვერი. აქედამ წასულა ბურიის ქუჩაზე და მიკიტნის დუქანში უსვამს.

იქიდამ შესულა იმ ხსენებულ ოჯახში, იქაც მოუსხამს გვერდით ქალები და უსვამს პივა. 18 მანეთი დაუხარჯამს; მერე უეცრად ამოუღია როვოლვერი. ქალები გაქცეულან; გაქცეულზე სამი უსროლია და ორი ქალი კარების გარეთ მოუკლავს; მერე დაუძახნია: დანარჩენები სადარი-

---

ლჰუბან. დიახ, ამ ხეებს უკან.

ჟორჟ დანდან. (იქით). სწორეთ ამისთვის დამდგარა ჩემ მეზობლად ეს გამოპრანჭული ყანჩი!... შესანიშნავი ყნოსვა მაქვს აი: იმწამსვე რაღაც ეჭვის სუნი მეცა....

ლჰუბან. იმისთანა პატიოსანი კაცი თქვენ სიცოცხლეში არ გინახავთ. წარმოიდგინეთ: სამი ოქრო მაჩუქა მხოლოთ იმისთვის, რომ წადი, იმ სახლის ქალბატონს უთხარიო ჩემ მაგიერ, რომ მიყვარხარო და შენთან საიდუმლოთ ლაპარაკი მწყურიანო! ამისთანა უბრალო მონდობილობისათვის სამი ოქრო მომცა, მაშინ როდესაც ხან-და-ხან მთელი დღე ვმუშაობ, დავწანწალებ და ძლივს სამ შაურს ვიშოვნი ხოლმე!

ჟორჟ დანდან. მერე, შეასრულე მონდობილობა?

ლჰუბან. დიახ, როგორც უნდოდა. ერთი გოგოა ამ სახლში, კლოდინა ჰქვიან, იმ წამსვე მიხვდა, რაც მინდოდა და ქალბატონთან მიმიყვანა.

ჟორჟ დანდან. (იქით). მჰ! საძაგელი გოგო!

ლჰუბან. რა ლამაზია, რომ იცოდე, ეს კლოდინა! იმ წამსვე მოიტაცა ჩემი გული და ჩვენი ცოლქმრობა ეხლა მხოლოთ იმაზედაა დამოკიდებული....

ჟორჟ დანდან. რა პასუხი გაუგზავნა ქალბატონმა იმ მოარშიყე ყმაწვილს?

ლჰუბან. მთხოვა გადავსცე.... მაიცა, მგონი, კიდეც დამავიწყდა, რაც დამაბარა და.... ჰო! გადაეციო, რომ ალტაცებული ვარო იმ გრძნობით, რომელსაც თქვენ მიცხადებთო; მაგრამ ჩემი ქმარი ერთი ხეპრე ვინმე კაცი არისო და ისე უნდა დავიჭიროთო თავი, რომ არა შევვატყოსრაო. ამაღამ რასმე მიზეზს მოვიგონებ, თავს დავიხწევ და სადაც დამინიშნე იქ მოვალო....

ჟორჟ დანდან. (იქით) ჰა! ცუღლუტი დედაკაცი!

ლჰუბან. კაი ამბავი კია, მედა ჩემმა ღმერთმა! იმ დროს, როდესაც ქმარს თავისთვის ტკბილად ეძინება ლოგინში, ცოლი.... არა?

ჟორჟ დანდან. მართალია, მართალი!...

ლჰუბან. ნახვამდი. არ დაგავიწყდეს, ამ საქმეზე ხმა არ ამოიღო, თორემ ქმარმა რომ შეიტყოს ხო იცი?!.

ჟორჟ დანდან. დიახ, დიახ!

ლჰუბან. მე რა! იაე მოვიკატუნებ თავს, თითქო არაფერ შუაში ვიყო! ოჰ, დიდი გაიძვერა ვარ, შენ მე ვერ მიცნობ! იაე მოვახერხებ, რომ კაცმა ვერ იფიქროს, რომ მე ამ საქმეში რამე მონაწილეობა მიმეღოს....

### III სცენა

ჟორჟ დანდან (მარტო). ეგრე, ჩემო ჟორჟ დანდან! ხომ ჰხედავ, როგორ გატყუვილებს შენი მეუღლე! შეირთე კეთილშობილის კაცის ქალი? ყველა შეურაცხყოფას მოგაყენებს და ხელები შეკრული გექნება. ჩემო ჟორჟ დანდახ! შენი ცოლი რომ გლეხის ქალი იყოს, ახლა ერთი კარგი შვინდის ჯოხი.... სამართალს თვითონ შენ გაუჩენდი. მაგრამ კეთილშობილი გვამის გემება მოინდომე, — და შენს სახლში ბატონობა დაჰკარგე! ჰა! გული მისკდება ბრაზისაგან! ღირსი ვარ, რომ ჩემ ლოყებს სილები ვაჭამო!... რაო? აღტაცებული ვარ შენი სიყვარულის გამოცხადებითაო! ერთმანეთს წიგნებსა სწერენ! დასწყევლა ღმერთმა, ეს სადაურია? არა, ასე თავის მინებება ამ საქმის არ შემიძლია. ახლავ მივდივარ; წავალ, ჩემ სიმამრსა და სიდედრს შევატყობინებ ყველაფერს, აუხსნი — თუ რამდენ მწუხარებას მაყენებს იმათი ქალი.... მადლობა ღმერთს, ორივე აგერ მოდიან....

### სცენა IV

უფ. დე-სოტენვილი, იმის მეუღლე და ჟორჟ დანდან

უფ. დე-სოტენვილი. რა დაგმართვნიათ, ჩემო სიძე? როგორღაც აღელვებული ხართ თითქო?

ჟორჟ დანდან. კი მაქვს მიზეზი...

სიდედრი. ღმერთო ჩემო, რა გაუნათლებელი ხართ, ჩემო სიძე: ვისმე რომ ხედავთ, მისალმება უნდა.

ჟ. დანდან. რა მესალმება, ჩემო სიდედრო? განა ტვინი მაგაზედ ჰფიქრობს?

სიდედრი. კიდევ! როდის იქნება, ჩემო სიძე, რომ კეთილშობილური მანერები და თავის-დაჭერა გასწავლოთ!

ჟ. დანდან. როგორ თუ?

სიდედრი. გადაეჩვიეთ მაგრე უბრალოთ დაძახებას—სიდედროო! ზრდილობა თხოულობს, რომ „მადამ“ დამიძახოთ ხოლმე.

ჟ. დანდან. დასწყევლა ღმერთმა! თქვენ მე „ჩემო სიძეო“ მეძახით და მე კი არა მაქვს უფლება, რომ „ჩემო სიდედროო“ დაგიძახოთ?

სიდედრი. სულ ერთი არ გახლავთ. უნდა გაიგოთ, რომ რისიც უფლება მე მაქვს, იმის უფლება თქვენ არ უნდა მიინიჭოთ. ჩვენ, კეთილშობილებსა, და თქვენს შუა დიდი განსხვავება გახლავთ!

უფ. დე-სოტენვილი. კმარა, ჩემო საყვარელო, დავანებოთ ამ ლაპარაკს თავი.

სიდედრი. უფ. დე-სოტენვილ! ნება მომეცით მოვახსენოთ, რომ ერთობ კეთილი ბრძანდებით, და ისეთს ხალხს უტოლებთ თავს, რომელნიც...

უფ. დე-სოტენვილი. უკაცრავად გახლავარ: მაგას კი ვერასოდეს ვერ დამაყვედრებ, რომ ჩემი ღირსების დამცირების ნება ვისმესთვის გამებედვინებინოს. მაგრამ ამისთვის პატარა გაფრთხილებაც საკმაო იყო. აბა, გვითხარი, ჩემო სიძე, რა აწუხებს თქვენს ტვინს!

ჟორჟ დანდან. მოკლეთ მოგახსენებთ, უფ. დე-სოტენვილ, რომ..

სიდედრი. მოითმინეთ, ჩემო სიძე! უნდა იცოდეთ, რომ პირ-და-პირ სახელი არ უნდა დაუძახოთ კაცს: თქვენზე უფროსს ყოველთვის

ანო? შეუხედია, ერთი სტუმარი ბძანებულა იქ ზ., იმისთვისაც უსროლია ორჯელ, მაგრამ არც ერთხელ არ მოხვედრია, რადგანაც ორჯელვე ზ—ს თავი დაუღია სროლის დროს.

ამ ამბის შემდეგ მკვლელი გამოსულა ქუჩაში და დაუჭერია ზაიდუკოვს და წარუდგენია პოლიციისათვის.

ეხლა ეს საქმე გამომძიებელის ხელშია გამოსაძიებლათ; ეს კაჩეგარი არის 4 დღის ოდესიდან მოსული სავაჭრო ხომალდთი; პოლშელია, როგორც ლაპარაკობენ.

ფოთის მეფაიტონეები და მედროგეები ყვლეფენ ღამის პასაჟირის პოეზდით მოსულს ხალხს; აქაური მეფაიტონე ერთს გზობაში ორ მანეთ ნაკლებ და მანეთ ნახევარ ნაკლებ არ დაგჯერდებათ ერთს კაცსა; ეგრეთვე მედროგეები: მე თითონ ვნახე მედროგემ ერთს გზობა გადასატანში პასაჟირს გამოართვა სამი მანეთი 20 ფუთს საქონელში და ტალახშიაც ჩაუყარა. თუ მოასწრეს როგორმე სხვაფრივ, არც იმაში დაგზოგვენ. ურიგო არ იქნებოდა, რომ პოლიციას ყურადღება მიექცია ამაზედ, და დაენიშნათ ტაქსა, რომ ყველას სცოდნიყო; რაც ხიდი გამართულა, ხიდის გაღმა გასვლა ანუ გამოსვლაში რა დროს რა უნდა გადვიხადოთ, არ ვიცით.

მლ. ბ—ლოვი

# უცხო ქვეყნები

## მორიგების საქმე

ერთს რუსულს გაზეთში დაბეჭდილია, რომ ომიანობისა და მშვიდობიანობის გადაწყვეტა ამ ჟამად, რუსეთსზე კი არა, ინგლისზედ არის დამოკიდებულიო, რადგან რუსეთმა დაუთმო, რისიც დათმობა კი შეეძლოო. მაშასადამე, თუ ომი ასტყდა, პასუხის-მგებელი ამაში მხოლოთ ინგლისი იქნებაო.

ლონდონიდამ მიღებული დეპეშები გვაცნობებენ, რომ საქმე ისეთს მდგომარეობაში არის ახლაო, რომ საფიქრებელია, რომ უბრძოლველად გადაწყდეს ეს რუსეთისა და ოსმალეთის ერთმანერთთან შეტაკებაო.

— ინგლისის მთავრობა თხოულობს, რომ, სანამ ევროპის ექვსი უმთავრესი სახელმწიფოს წარმომადგენელნი მორიგების პროტოკოლს ხელს მოაწერდნენ, რუსეთმა თავის ჯარი დაითხოვოს კიშინევიდამ და კავკასიიდამ. „ჩვენი მმართებლობა ვერ იკისრებსო, ამბობს ერთი ინგლისური გაზეთი, რომ ოსმალეთს წინადადება მისცესო, რომ რუსეთზე ადრე იმან დაითხოვოს თავის საომრად მომზადებული ჯარიო".

-- ჩერნოგორიასთან დროებით მორიგება პირველ აპრილამდინ გაუგრძელებიათ.

— რუსეთის სტამბოლელი ელჩი ღენერალი იგნატიევი ლონდონიდამ პარიჟს დაბრუნებულა და აქედამ ვენაში წასულა.

— ფრანცუზული გაზეთი „La France" გვაცნობებს, რომ ევროპის უმთავრესი სახელმწიფოები შემდეგ ორ პირობას თხოულობენ ოსმალეთისაგანაო: 1) რომ ოსმალეთმა ახლავე დაითხოვოს თავის ჯარი და 2) ხალხთა-შორის ახალი ტრაქტატის შეკვრა, რომლის ძალითაც პარიჟის ტრაქტატი ისევ თავის ძალაში დარჩება, და ამასთანავე ოსმალეთმა მკვიდრი პირობა უნდა მისცეს ევროპას, რომ ის შემოიღებს თავის ქვეყანაში სხვა და სხვა ცვლილებებს და საქმით, და არა მარტო სიტყვით, ეცდება თავის ქვეშევრდომ ქრისტიანთა მდგომარეობის გაუმჯობესობას.

## ოსმალეთი

ამ თვის 7-ს გახსნილა სტამბოლში ახლად-დაარსებული პარლამენტი ოსმალეთისა. წარსულ ნომერში მოვიყვანეთ ჩვენ ის სიტყვა, რომელიც ხონთქარმა წარმოსთქვა ამ პარლამენტის გახსნის დროს. ამ სიტყვის შემდეგ, ჰქონიათ მოლაპარაკება იმ წესდებულებაზე—თუ როგორ უნდა აწარმოვონ საქმეები პარლამენტში. სხვა არაფერ საგანზე ჯერ პარლამენტში სჯა არ ყოფილა. და პირველად, როგორც ისმის, ჩერნოგორიასთან მორიგების პირობებზე იქნება სჯაო.

—კანდიის კუნძულზე ხალხი ძალიან აღელვებულია თურმე და ცხად უკმაყოფილებას აცხადებს ოსმალეთის მმართებლობაზე. საბერძნეთიდამ მოსული ბერძნები დაიარებიან კუნძულზე სოფელ სოფელ და აქეზებენ ხალხს, რომ ახლა გაქვთ დროვო, აჯანყდით და განგათავისუფლებენ ოსმალეთის დამოკიდებულებისაგანაო.

## ამერიკის რესპუბლიკა

მოგვყავს რამდენიმე ბიოგრაფიული ცნობა ამერიკის შეერთებული შტატების სესპუბლიკის პრეზიდენტზე რუტფორდ ჰეიზზედ.

რ. ჰეიზი დაიბადა ოგაიოს შტატში 1822 წელს. პაპა მისი უბრალო მჭედელი იყო შოტლანდიაში; მამა გადასახლდა ამერიკაში, აიღო შეუმუშავებელი მიწა, მუშაობდა და იმით არჩენდა თავის ცოლ-შვილსა.

პატარა რუტფორდი ყმაწვილობიდამვე შესამჩნევ ნიჭსა და ხასიათს აჩენდა; შკოლაში ყოველთვის ყველაზე უკეთესად სწავლობდა; შემდეგ უნივერსიტეტში შევიდა, იურიდიულ საგნებს სწავლობდა და კურსის შესრულების შემდეგ ერთს ადვოკატს შეუამხანავდა და ორთავემ ერთად ცინცინატში დაიწყეს ადვოკატობა.

იმის პატიოსნებამ და მჭერმეტყველ სიტყვამ მიიქცია საზოგადო ყურადღება. ლინკოლნის პრეზიდენტობის დროს გამოიჩინა ჰეიზმა პირველად თავი, როგორც პოლიტიკურ მოქმედმა კაცმა. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ამერიკის ურთიერთ-შორის ომიანობის დროს, ჰეიზი ლინკოლნის პოლიტიკას მიემხრო, ჩაეწერა ჩრდილოეთის ჯარში და პოლკოვნიკის ჩინი დაიმსახურა.

ამ ძმა-ძმის მკვლელი ბრძოლის გათავების შემდეგ, ცინცინატის შტატმა აირჩია ის თავის წარმომადგენლად კონგრესში.

რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევამდინ ის იყო ოგაიოს შტატის ღუბერნატორად.

სიტყვა, რომელიც იმან წარმოსთქვა იმ დროს, როდესაც რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა მიიღო, გვიმტკიცებს, რომ ის ერთის მხრით ყოველის ღონის-ძიებით ეცდება დაიცვას და გააფართოოს უმისოთაც ფართო თავისუფლება ამერიკის რესპუბლიკისა და მეორეს მხრითაც მოინდომებს, რომ ეს დიდი ხნის განხეთქილება ჩრდილოეთის და სამხრეთის ამერიკის შტატებს შუა მოსპოს და ეს ორი მოწინააღმდეგენი შეარიგოს.

# ნარევი

გაგონილი გექნებათ, რომ დედა-მიწაზე ხშირად სისხლის წვიმას უწვიმია; ნახულა აგრეთვე ნაცრის, ქვის, კლიის და ბაყაყის წვიმა. მაგრამ გველის წვიმა კი დღემდი არავის უნახავს; ეს უჩვეულებრივო მოვლენა, როგორც უცხო ქვეყნის გაზეთები გვაცნობებენ, ამას წინათ შეუნიშნავთ ამერიკის ქალაქს მენფისში, სადაც წვიმას ცრის მილიონობით ჩამოცვივნულან ზევიდამ გველები, რომელთაგან ზოგიერთები ერთ არშინზე მეტი იყვნენო.

ეს ნაცრის, ქვის, ბაყაყის და გველის წვიმა იქიდამ წარმოსდგება, რომ ქარიშხალის დროს ამათ აიტაცებს ქარი მაღლა ერთის ალაგიდამ და მერე მეორე ალაგს ჩამოჰყრის. სისხლის წვიმა მართლა სისხლის წვიმა არ არის,

---

მხოლოდ „უფალო" უნდა უთხრათ.

ჟ. დანდან. კარგი: უფალო, და არა უფალო დე-სოტენვილო, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი ცოლი...

სიდედრი. მოითმინეთ, მოითმინეთ ჩვენ ქალზე რო ლაპარაკობთ, „ჩემი ცოლიო" ნუ ამბობთ.

ჟ. დანდან. მოთმინებიდამ გამომიყვან, ჩემო სიდედრო, აი: როგორ ჩემი ცოლიო არა ვსთქვა! ჩემი ცოლი განა ჩემი ცოლი არ არის?!

სიდედრი. მართალს ბრძანებთ, ჩვენო სიძე, თქვენი ცოლია; მაგრამ მანგრე მაინც არ უნდა უწოდოთ. თქვენი ტოლი რომ შეგერთოთ, მაშინ კი შეგეძლოთ..

ჟ. დანდან (იქით). ვაჰ ჩემო ჟორჟ დანდან, სად შეტოპე! (ხმა მაღლა). ჰე, ღმერთს მიამაღლეთ, შეინახეთ ცოტა ხნით მაინც თქვენი ზრდილობა და კეთილშობილება და როგორც შეგიძლია, ისე მათქმევინეთ... (უფ. დე-სოტენვილს). უნდა მოგახსენოთ, უფალო, რომ მე ჩემის ცოლის შერთვით კმაყოფილი არა ვარ.

უფ. დე-სოტენვილი. მიზეზი, ჩემო სიძე?

სიდედრი. რაო! მიკვირს როგორ ლაპარაკობთ თქვენ ასე იმ საგანზე, რომლიდგანაც ამდენი სარგებლობა ნახეთ!

ჟ. დანდან! აბა რა სარგებლობა, ქალბატონო? თქვენთვის, ღმერთო შემცოდე, კი ცუდი არ იყო ეს ქორწინება, რადგან, ნება მომეცით პირ-და-პირ მოგახსენოთ, თქვენი საქმეები ცოტა არ იყოს დახლართული გახლდათ და ჩემმა ფულებმა გაჭირებიდამ დაგიხსნათ. მაგრამ მე კი რაო? ერთი მითხარით: მე რა სარგებლობა, რა სიკეთე ვნახე?

უფ. დე-სოტენვილი. ნუ თუ იმას არაფრათ არ აგდებთ, ჩემო სიძე, რომ თქვენ დე-სოტენვილის ოჯახს დაუკავშირდით?...

სიდედრი. და პრუდოტერის ოჯახს, რომლის შთამომავლობისა მე გახლავარ, თქვენი შვილები კეთილშობილნი იქნებიან!

ჟ. დანდან. დიახ, ძალიან კარგია: ჩემი შვილები კეთილშობილნი იქნებიან, მაგრამ მე კი რქოსანი შევიქნები, თუ რამე არ მოვახერხე!

უფ. დესოტენვილი. მაგით რა გინდათ სთქვათ?

ჟ. დანდან. ის მინდა ვსთქვა, რომ თქვენ ქალს რიგიანათ ვერ უჭირავს თავი, რომ ის პატიოსან ცოლს რო ეკადრება, ისე ვერ იქცევა.

სიდედრი. წინ დაუხედავათ ლაპარაკს უფრთხილდი, ჩემო სიძე. ჩემი ქალი ისეთი შთამომავლობიდამ არის, რომლის პატიოსნებასაც თავის დღეში ჩირქი არ მოსცხებია; პრუდოტერის გვარიდამ სამასი წლის განმავლობაში ისეთი ქალი არ გამოსულა, რომელზედაც ქვეყანას ლაპარაკი დაეწყოს.

უფ. დე-სოტენვილი. უნდა მოგახსენოთ, რომ დე-სოტენვილის გვარში თავის დღეში არშიყობის მოყვარე ქალი რა არის—ისიც არ დაბადებულა და როგორც ამ გვარის მამაკაცები თავის მხნეობით არიან განთქმულნი, აგრეთვე ქალებიც თავის უმანკოებითა!

სიდედრი. ჩვენს გვარში იყო ერთი ჟაკელინა პრუდოტერის ქალი, რომელმაც ჩვენი ღუბერნატორის ხასობაზე უარი სთქვა.

უფ. დესოტენვილი. ჩვენს გვარშიაც ერთი მატურინა დე-სოტენვილის ქალი გახლდათ, რომელსაც ერთმა კარის კაცმა ოცი ათასი ფრანკი შეაძლია მხოლოთ იმისთვის, რომ შენთან მალაპარაკეო, მაგრამ უარი უთხრა...

ჟორჟ დანდან. ჰო! თქვენი ქალი მანგრე მიუკარებელი არ გახლავთ, და ძალიან მოშინაურდა მას აქეთ, რაც ჩემს სახლშია..

უფ. დე-სოტევნილი. აგვიხსენით, რა უნდა სთქვათ, ჩემო სიძე. ჩვენ ვერ მოვითმენთ ჩვენი ოჯახის შერცხვენას და დარწმუნებული იყავით, რომ მე და ჩემი მეუღლე დაგაკმაყოფილებთ.

სიდედრი. ამისთანა საქმეში ხუმრობა უადგილოა. ჩვენი ქალი კეთილ-ზნეობიანათ გავიზრდია...

ჟორჟ დანდან. მაშ მომიხსენებია, ბატონო, რომ აქვე, ჩემ მეზობლად ერთი ვიღაც ყმაწვილი დგას, რომელიც ჩემი ცხვირის წინ ეკურკურება თქვენს ქალსა და რომლის სიყვარულის გამოცხადება ჩემმა ცოლმა დიდის მოთმინებით მოისმინა.

სიდედრი. რაო! ჩემის საკუთარის ხელებით დავაღრჩობ, თუ ჩემმა ქალმა თავის დედის პატიოსნებას ეგ უპატიურობა მიაყენა.

უფ. დე-სოტენვილი. ორთავეს ეხლავ ამ ჩემი ხრმლით დავკეფ, თუ ეს მართალია!

ჟორჟ დანდან. ჩემი საჩივარი მომიხსენებია და ახლა სამართალსა გთხოვთ.

უფ. დე-სოტენვილი. თქვენ ნუ შესწუხდებით: იმათი გასამართლება მე მომკითხეთ. მაგრამ ერთი მითხარი, ჩემო სიძე: კარგათა ხარ დარწმუნებული იმაში, რასაც ამბობ?

ჟორჟ დანდან. მტკიცეთ.

უფ. დე-სოტენვილი. უფრთხილდი, არ შესცდე, თორემ ხომ იცი, კეთილშობილებში ამ გვარი საქმე სახუმრო საქმე როდია.

ჟორჟ დანდან. მოგახსენეთ, რომ ყველაფერი, რაც გითხარით, ნამდვილია.

უფ. დე-სოტენვილი. ჩემო კარგო, წადი შენ და შენს ქალს მოელაპარაკე; მე და სიძე იმ კაცთან წავალთ მოსალაპარაკებლად.

სიდედრი. მაკვირვებს ეს საქმე: როგორ შეიძლება, რომ ჩემი ქალი ასე შემცდარი იყოს განსაკუთრებით იმ მაგალითების შემდეგ, რომელსაც ჩემი ცხოვრება წარმოუდგენდა იმას.

უფ. დე-სოტენვილი. მე გამომყე, სიძე; თქვენის თვალით ნახავთ—როგორ ვეპყრობით ჩვენ იმ პირთ, რომელნიც ჩვენს საკუთრებაში ეხებიან.

ჟორჟ დანდან. აი, ისიც ჩვენკენ მოდის.

(დასას. პირველ მოქმედებისა შემდეგ №-ში)

ერთ გვარი წვრილი სოკოა, რომელსაც წი-თელი ფერი აქვს და როცა წვიმის წყალში გაერევა, წყალს სისხლის ფერი ეძლევა.

***

ზოგიერთ ფრანცუზულს გაზეთებში და-ბეჭდილია მადაგასკარის დედოფლის დეკრე-ტი (ბრძანება), რომლითაც ის უკრძალავს თავის ქვეშევრდომთ არაყის სმას. მოგვყავს ეს ახირებულის კილოთი დაწერილი დეკრეტი:

„მე, რანოვალომანიკა, სახელითა ღვთი-სათა და ნებითა ხალხისათა დედოფალი მა-დაგასკარისა და მფარველი ჩემის სამშობ-ლოს კანონებისა, აი რას გიცხადებთ თქვენ, ჩემნო ქვეშევრდომნო! ღმერთმა მომცა მე ეს ქვეყანა და რაიცა შეეხება არაყს, უნდა გითხრათ, რომ იმის გაყიდვა არა ჯერ არს არც ანტანანარივოსა და არც იმერინის მაზრებში. მე იძულებული ვარ გაგახსენოთ, რომ არაყი თქვენთვის მავნებელია, იმას მიაქვს თქვენი შეძლება, ის ღუპავს თქვენ ცოლ-შვილს და თქვენ თითონაც გაფუჭებთ. იმის წყალობით ხალხს ეკარგება პატივის-ცემა კანონებისა და ღვთისა.

„რად გიყვართ თქვენ ესე, ოი ჩემნო ქვე-შევრდომნო, არაყი? მე მომწონს თქვენი ვაჭრობა და წარმოება. მაგრამ გამომიცხა-დებია თქვენთვის, რომ, თუ რომელიმე თქვენგანი გაბედავს არაყის გაყიდვას, მაშინ მე, ჩემის კანონების ძალით, დავსჯი იმას, იმ სასარგებლო კანონების ძალით, რომლის ჩემი ხალხს სადმი მინიჭებით ვამყობ. განა ასე არ უნდა მოვიქცე მე? რ ა ნ ო ვ ა ლ ო-მ ა ნ ი კ ა, დედოფალი მადაგასკარისა.“

***

გასული თეის დამლევს მოსკოვის ერთს სასტუმროში საღამო ჟამს მისულან ერთი ახალგაზდა ვაჟი და ქალი, დაუჭერიათ ოთა-ხი და დამდგარან. შუაღამეზე სასტუმროს მოსამსახურეებს ორი ხმა გაუგონიათ რე-ვოლვერისა. მიცვივნულან იმ წამსვე კარებ-ზე, მაგრამ ჩაკეტილი ყოფილა. პოლიციის-თვის შეუტყობინებიათ; მისულან, ჩაუმტვრე-ვიათ კარები და უნახავთ ორივე ქალ-ვაჟი პოლზე ეყარნენ და სისხლში სცურავდნენ. სტოლზე უნახავთ პატარა წერილი, რომელ-შიაც ვაჟი სწერდა, რომ „მე ამ დღეებში უნდა მოვკვდე და რადგანაც სერაფიმას ჩემს შემდეგ სიცოცხლე აღარა ჰსურს, ამის გამო ორივ ერთად თავს ვიკლავთ.“

***

იმერეთის ერთი სოფლიდამ სალომინაოდამ გვწერენ, რომ ჩვენი სოფელი მთელს იმე-რეთში თავის ვაჟებისა და ქალების (გასა-თხოვარის ქალებისაც) „მსუბუქ“ ყოფაქ-ცევით დიდი ხანია განთქმულიაო. „მაგრამ თუ იქამდინ მიაღწევდა ეს ამათი სიმსუბუქე, რომ ქვემოხსენებულ ამბავს ექნებოდა ალა-გი, იმასაც არ დავიჯერებდითო“. ამბობს ჩვენი კორრესპონდენტი, და შემდეგ ამ ამ-ბავს მოგვითხრობს:

„ერთს გასათხოვარ ქალს დაუნიჟია, რომ უეჭველად ხარებობა ღამეს დავორსულდები მთავარ ანგელოზისაგან, შობას გავთავისუფ-ლდები და საკანე წინასწარმეტყველს ვშო-ბავო...“ „ოთხი თვე სიმინდის კაკალზე დაჩოქილი ვილოცე და ბოლოს ერთს ღა-მეს მთავარ ანგელოზი გამომეცხადა და მითხრა: „გიხაროდენ, ს., რამეთუ მთავარ ანგელოზი მოვიდეს შენთანა და ჰშობო წინასწარმეტყველი, რომელსა სახელად უწო-დო საკანე! „შუბლზე მაკოცა და წავიდა.“

თვითონ იმ სოფელში ამ ქალს არავინ უჯერებსო, გვწერს ამ ამბის მცნობი, რად-გან ამათ თავიანთი ანგარიში კარგათ იცი-ანო; მაგრამ გარეშე სოფლებში აღმოჩნდნენ ისეთი პირები, რომელთაც ეს მიქარვა ნამ-დვილად სჯერათ და წრფელის გულით მო-ელიან ამ ქალისაგან საკანე წინასწარმეტ-ყველის შობასაო.

***

საფრანგეთში შემდგარა ექიმების საზოგა-დოება, რომლის მწევრთა პირობა მიუციათ ერთმანეთისათვის, რომ შავი დავთარი ვიქო-ნიოთო და ვინც ჩვენ კლიენტებში (ავათ-მყოფებში) ფულს არ მოგვცეს, იმ დავთარ-ში ჩავსწეროთო, იმისთვის რომ შემდეგ თუ კიდევ ავათ გახდა, სხვა ექიმებმა იცოდნენ და აღარ უწამლონო.

ფრანცუზული გაზეთი „ფიგარო“, რო-მელსაც ეს ამბავი მოჰყავს, წინადადებას აძლევს ავათმყოფებს და იმათ ჭირისუფლებს, რომ თავის მხრით იმათაც შეადგინონ ერთი საზოგადო „შავი დათარი“, რომელშიაც ჩასწერონ სახელი და გვარი იმ ექიმებისა, რომელნიც სწამლობდნენ იმათ და ვერ მო-არჩინეს ან რომლის წამლობის შემდეგ ისინი დაიხოცნენ.

***

ფრანცუზულს ილლუსტრაციაში (L'-lljustration, № 1771, თებერვლის 3) დაბეჭდილია სხვათა შორის, ჩვენი კარგათ მცნობის ჯ ა ფ ა რ-ა ლ ი ს (ქურთების უფ-როსის) სურათი და ტექსტში მოყვანილია იმის ცხოვრება. სურათი ძალიან ჰგავს ჯა-ფარ-ალას. მაგრამ ტექსტში რომ მოხსენე-ბულია, რომ ხელმწიფის ღალატისათვის, ჯაფარ-ალა დაიჭირეს და ალექსანდროპოლ-ში დახვრიტესო, — ეს კი ტყუილი ამბავია. მართალია, ამის წინათ აქაც იყო ამ ნაირი ხმა, მაგრამ, როგორც სჩანს, არ გამართლდა.

# განცხადებანი


კვირაობით, იარმუკაში, უ. ზა-ქარია ჭიჭინაძესთან ისყიდება ყოველ-ნაირი ძველი და ახალი **ქართული წიგნები.** (10—9)

## ქალაქის გამგეობისაგან

**თფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოთ, რომ ამ მარტის 19-ს, გამგეობის თანდას-წრებით, იქნება უკანასკნელი ვაჭ-რობა (ტორგი) იმ ადგილის არენ-დით მიცემაზე, რომელიც ქალაქს ნავთლუღში ეკუთვნის და რომე-ლიც შეიცავს 480 დესიატინასა და 100 ოთხ-კუთხ საჟენს. არენდის ვა-და სამი წელიწადი, დანარჩენი პი-რობების ნახვა ქალაქის გამგეობა-ში შეიძლება.

განცხადების შეტანა შეიძლება ან სიტყვიერად და ან დაბეჭდილის კონ-ვერტით.

(3—2)

## წალკოტი

თქმული

**დავით გივიშვილისაგან**

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღა-ზიებში.

**LA VELOUTINE**

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის **პუდრი** (უმარილი), ბისმუტით გაკე-თებული.

იგი ეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადა-მიანის კანს დაამსგავსებს.

ქანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფ ა ი — გ ა მ ო მ გ ო ნ ი

—

**pommade satin**

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შე-სანახავად; ზამთარში არ და-უსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—110


## ანგარიში

### საგუე-ენისლის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობისა

1 თებერვლიდამ 1876 წლის 1 იანვრიდამ 1877 წლისა.

| შემოსავალი | მან. | კაპ. | გასავალი: | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1245 | 80 | გასესხებული — — — | 3480 | „ |
| სარგებელი დაჭერილი გა-სესხების და ახალი ვალის მიცემის დროს — — — | 202 | 44 | სარგებელი ვალისა — — | 30 | „ |
| დაბრუნებული სესხი — | 1275 | „ | სამართველოს ხარჯი — | 52 | 21 |
| ჯარიმა — — — — — | „ | 72 | | | |
| შემდეგ ალებული ვალი | 1000 | „ | | | |
| ჯამი — | 3723 | 96 | ჯამი — | 3,562 | 21 |

1-ს იანვრისას 1877 წელს არის:

| | მან. | კაპ. | გასესხებული | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 1245 | 80 | გასესხებული — — — | 2205 | „ |
| შემდეგი ვალი — — — | 1000 | „ | ნაღდი ფული — — — | 61 | 75 |
| წმინდა მოგება — — — | 120 | 95 | წევრების ფული საურთი-ერთო საზოგადოებაში — | 100 | „ |
| ჯამი - | 2366 | 75 | ჯამი — | 2366 | 75 |

თავმჯდომარე რჩევისა თ. გიორგი ჯორჯაძე. წევრნი: თ. იოსებ ჯორჯაძე, ივანე დათაშვილი, გიგოლა არჯევანაშვილი, ნიკო მჭედლიშვილი, სვიმონა ზერიაშვილი. წევრნი გამგეობისა: ივანე როსტომოვი, მაკარ სტეფანოვი, ნიკო ქონჭაშვილი.

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა . . | — | — | — | — | - | 68 | | 38 |
| გორი . . | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| აბ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 8 | 40 | | | | | | |
| აბ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ — ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესიდამ:

ფოთისკენ — ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.
სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესსამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გ რდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ახალციხეს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:

თფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურ-გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:

ყოველგან ყოველ დღე, კვი-რას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 12 მარტს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 3½ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 309 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 7½ | |
| ბანკის ბილეთი 5% | 96 | 50 |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 196 | 25 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 192 | 25 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | | -- |
| ხერსონის ბანკის (5½) | 84 | 32 |
| მოსკოვის (5%). . . . | 81 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 157 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 497 | — |
| კავკასის და მერკურის. . | 206 | — |
| პირვ. სახლვეუ. საზოგ | 727 | 50 |
| პეტერბ. სახლვეუ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის სახლვეუ. საზ | 269 | — |

| მაზანდა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 15 მარტს. | | |
| პური შორაგალის ფუთ. | 1 | 20 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 87 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 5 | 60 |
| — ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 20 |
| გაპენტილი ბამბა ფუ. | 7 | — |
| მატყლი თუშური ფუ. | 6 | 70 |
| — თარაქამისა ფუ. . | 4 | — |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 3 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 11 | 60 |
| ხორცი ძროხისა. ლიტ. | — | 65 |
| — ცხვრისა, ლიტრა. . | — | 72 |
| სპირტი, ვედრო. . . | 8 | — |
| შაქარი, გოლც. ფუთი . | 7 | 10 |
| — ფხვნილი ფუთი . . | 5 | 40 |
| ყავა გოგვალი, ფუთი . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუ. | 5 | 30 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 6 | 63 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Марта 1877 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.